01/02/2021

წმინდა მღვდელმთავარი ექვთიმე ტირნოვოელი, პატრიარქი ბულგარეთისა – ხსენება 02 თებერვალს (ძვ.სტილით 20 იანვარი)

წმინდა ექვთიმე 1325 წელს დაიბადა ტირნოვოში, დიდებულთა ოჯახში. 1350 წელს მონაზვნად აღიკვეცა კელიფერევოს მონსტერში, რომელიც ახალი დაარსებული ჰქონდა ღირს თეოდოსის, რომელმაც ბულგარეთში ისიხასტთა სწავლება შემოიტანა. აქ წმინდა ექვთიმე დამოძღვრეს ღირსი გრიგოლ სინელის სულიერი ცხოვრების პრინციპების მიხედვით. ამ მონასტერში დაუმეგობრდა ის წმინდა კვიპრიანეს, ქალაქ კიევის მომავალ მიტროპოლიტს. ექვთიმე იმდენად გამოირჩეოდა სათნოებებით, რომ მას მონასტრის სალარო ჩააბარეს.

1363 წელს იგი თან ახლდა თავის სულიერ მოძღვარს მამა თეოდოსის, რომელიც კონსტანტინოპოლში ჩავიდა. აქ ის თბილად მიიღო პატრიარქმა კალისტოს პირველმა, რომელიც მამა თეოდოსის მოწაფე იყო. ღირსი თეოდოსი კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა. ამის მერე წმინდა ექვთიმემ რაღაც დროით წმინდა მამანტის მონასტერში და სტუდიელის სავანეებში იცხოვრა. შემდეგ კი ათონზე დიდ ლავრაში მივიდა, სადაც წმინდა კვიპრიანეს შეხვდაა. ლავრიდან კი ზოგრაფის მონასტრის ახლოს კოშკში გადავიდა და იქ განმარტოებით ცხოვრობდა. ჩოტა ხნის მერე კი დაუსაბუთებული ბრალდებით, თითქოსდა უარი უთხრა იმპერატორ იოანე V პალეოლოგოსს ძვირფასი ნივთების გადაცემაზე და იგი კუნძულ ლემნოსზე (1371) გადაასახლეს. ერთი თვის შემდეგ უკან გამოიხმეს, წმინდა ექვთიმე ტიროვოში დაბრუნდა.

ღირსი მამა ქალაქიდან შორს, მღვიმეში დასახლდა და განაგრძო მოსაგრე ცხოვრება,

თან ბერძნულიდან თარგმნიდა და გადაწერდა წიგნებს. მალე მასთან ბევრი ღვთის მაძიებელი ადამიანი მივიდა. მაშინ მან მეფე იოანე შიშმანის დახმარებით, თავისი მოწაფეებისთვის წმინდა სამების სახელობის მონასტერი დააარსა. მისი მოღვაწეობის წყალობით ეს სავანე ისიქაზმის გავრცელების ცენტრად იქცა.

ღირსმა მამამ წმინდა ისიქაზმის პრინციპები შეიტანა ერესების წინააღმდეგ თავის დოგმატურ თხუზულებებში.
მისი სახელი იმდენად იყო ცნობილი, რომ 1375 წელს ერთხმად აირჩიეს ტირნოვოს პატრიარქად. წმინდა ექვთიმე გაორმაგებული ენერგიით შეუდგა ეკლესიის სულიერი ცხოვრების განახლებას და ფეხზე დაყენებას. იბრძოდა ზნეობის სიწმინდისთვის, ანუგეშებდა სნეულებს, ეხმარებოდა გაჭირვებულებს. თუმცა მისი შრომის ნაყოფი თურქებმა გაანადგურეს, რომელთაც ბულგარეთი დაიპყრეს.
1393 წელს ტირნოვოს სამთვიანი ალყის დროს პატრიარქი ხელმძღვანელობდა ქალაქის დაცვას. როცა სულთანმა ბაიაზეთ I-მა ქალაქი აიღო, ყველა ცნობილი ადამიანის დასჯა გადაწყვიტა. პატრიარქი მასთან მივიდა, რათა თანამემამულეთა ნაცვლად მომკვდარიყო. სახალხო აჯანყების შიშით თურქებმა დაინდეს იგი თრაკიაში, ფილიპოლოსის ახლოს, ბაჩკოვოს მონასტერში გადაასახლეს. ატირებული ხალხის ცრემლები თან გაჰყვა პატრიარქს.

წმინდა ექვთიმე გადასახლებაშიც განაგრძობდა მოსაგრეობას და ადგილობრივი სამრევლოს დამოძღვრას. თვით თურქეთის მძიმე უღელის ქვეშ ეს მონასტერი ქრისტიანობის კულტურის ახალ ცენტრად მთარგმენელობითი საქმიანობის კერად გადაიქცა, რომელიც გაგრძელდა წმინდა ექვთიმეს გარდაცვალების შემდეგაც. წმინდა ექვთიმეს და ტირნოვოს სკოლის გავლენა ბულგარეთის საზღვრებს გასცდა. წმინდა ექვთიმე ტირნოვოს ბოლო პატრიარქი იყო. შემდგომში ბულგარეთის ეკლესია კონსტანტინოპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა, ვიდრე 1945 წელს არ აღდგა ბულგარეთის საპატრიარქო.

წმინდა ექვთიმეს წმინდა ნაწილები 1905 წელს მოიპოვეს ბაჩკოვოს მონასტერში

karibche.ambebi.ge